

2022 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმა

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსები

არჩევა

საანგარიშგებო პერიოდის დასასრული

შესადარისი პერიოდი

შესადარისი პერიოდი

31/12/2022

31/12/2021

31/12/2020

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესადარისი წლებზე ინფორმაცია.

სტანდარტი : მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა	საქმიანობის შედეგები	ფულადი სახსრების მოძრაობა	
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	375,180	42,764	176,708
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	631,918	644,175	353,369
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2,098	1,278	0
მარაგები	 1,553,837	 1,551,728	 959,140
მზა პროდუქცია	847,343	802,269	484,165
სხვა	706,494	749,459	474,975
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27	27	2,153
ბიოლოგიური აქტივები	 0	 0	 0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0

სამსახურისთვის	წერილის გაგზავნა					
გუდვილი		0		0		0
სხვა არამატერიალური აქტივები		0		0		0
ძირითადი საშუალებები		2,501,817		658,610		693,700
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0		0		0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0		0		0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0		0		0
სულ აქტივები		5,064,877		2,898,582		2,185,070
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულება		0		0		0
სავაჭრო ვალდებულებები		1,452,578		1,423,003		1,182,746
ანარიცხები		0		0		0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		88,151		133,500		125,154
საგადასახადო ვალდებულებები		172,963		209,668		198,188
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0		0		0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		407,190		333,950		0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		1,853,485		193,384		297,130
მიღებული გრანტები		0		0		0
სხვა ვალდებულებები		0		0		0
სულ ვალდებულებები		3,974,367		2,293,505		1,803,218
საკუთარი კაპიტალი						
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		1,486,094		1,486,094		1,486,094
საემისიო შემოსავალი		0		0		0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0		0		0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-395,584		-881,017		-1,104,242
გადაფასების რეზერვი		0		0		0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0		0		0

სამსახურისთვის [წერილის გაგზავნა](#)

სულ საკუთარი კაპიტალი



1,090,510



605,077



381,852

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები



5,064,877



2,898,582



2,185,070

სულ მოკლევადიანი აქტივები

27

27

2,153

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

2,120,882

2,100,121

1,506,088

შენახვა

< ანგარიშგება

სამსახურისთვის [წერილის გაგზავნა](#)

[ანგარიშგებები](#)

[სანქციები](#)

[მომხმარებლები](#)

სს საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანია, ს/ნ:
232539027
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

ჩამოტვირთვა

2022 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმა

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსი

არჩევა

საანგარიშგებო პერიოდის დასასრული	შესადარისი პერიოდი	შესადარისი პერიოდი
31/12/2022	31/12/2021	31/12/2020

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესადარისი წლებზე ინფორმაცია.

სტანდარტი : მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

საქმიანობის შედეგები

	2022	2021
ნეტო ამონაგები	3,098,165	1,625,429
საქონლის გაყიდვიდან	2,798,561	1,429,099
მომსახურების გაწევიდან	299,604	196,330
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1,813,310	-976,381
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1,284,855	649,048

სამსახურისთვის	წერილის გაგზავნა			
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0		0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-230,902		-228,354
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-34,013		-33,620
საპროცენტო შემოსავალი		0		0
საპროცენტო ხარჯი		-149,781		-19,199
იჯარის ხარჯი		0		0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-194,968		-174,928
სულ საოპერაციო ხარჯები	🔒	-609,664	🔒	-456,101
საოპერაციო მოგება	🔒	675,191	🔒	192,947
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0		0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-190,319		29,937
მიღებული დივიდენდები		0		0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		561		341
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	🔒	485,433	🔒	223,225
მოგების გადასახადის ხარჯი		0		0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	🔒	485,433	🔒	223,225
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0		0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	🔒	0	🔒	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	🔒	485,433	🔒	223,225
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		605,077		381,852
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0		0

სამსახურისთვის [წერილის გაგზავნა](#)

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

0

0

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

0

0

კაპიტალის სხვა ცვლილებები

0

0

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს



1,090,510



605,077

შენახვა

[← ანგარიშგება](#)

სამსახურისთვის [წერილის გაგზავნა](#)

[ანგარიშგებები](#)

[სანქციები](#)

[მომხმარებლები](#)

სს საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანია, ს/ნ:
232539027
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

ჩამოტვირთვა

2022 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმა

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსი

არჩევა

საანგარიშგებო პერიოდის დასასრული	შესადარისი პერიოდი	შესადარისი პერიოდი
31/12/2022	31/12/2021	31/12/2020

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსოთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესადარისი წლებზე ინფორმაცია.

სტანდარტი : მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	522,735	-163,881
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	522,735	-163,881
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-190,319	29,937
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	42,764	176,708
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	375,180	42,764

შენახვა

< ანგარიშგება

სამსახურისთვის [წერილის გაგზავნა](#)

**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
განმარტებითი შენიშვნები**

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

I. zogadi informacia

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს სს „საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანიის“ (შემდგომ საწარმო) წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

სს „საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანია“ (შემდეგში საწარმო) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 1995 წლის 27 დეკემბრიდან. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. კასპი, მაჩაბლის ქ. #7, საიდენტიფიკაციო ნომერი N232539027.

საწარმო ახორციელებს ნატურალური პროდუქტების გადამამუშავების გზით სპირტის წარმოებას. იგი წესდების მიხედვით უფლებამოსილია განახორციელოს: ეთილის სპირტის, ლიქიორ-არყის, თხევადი ნახშირორჟანგის, მეცხოველეობის საკვები პროდუქტების, გამხსნელების, კონცენტრირებული წვენების, ლიმონის სიმჟავის, საკონსერვო პროდუქციის, ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება, მინერალური წყლების ჩამოსხმა-რეალიზაცია, დისტრიბუცია და იმპორტ-ექსპორტის ოპერაციები. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საზოგადოება ნედლეულს, მასალებს და სხვა პროდუქციის შეძენას და რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ პირებთან თანამშრომლობით.

საწარმოს მფლობელები (პარტნიორები) არიან 88 აქციონერი, მათ შორის 87 ფიზიკური პირი და ერთი რეზიდენტი იურიდიული პირი. მთავარი აქციონერები არიან:

#	ფასიანი ქაღალდები	ბენეფიციარის (მესაკუთრის) გვარიდასახელი	საკუთარი არსებული აქციების რაოდენობა	აქციები %
1	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	აბაშიძე ვალტერი	42776	4,01660
2	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ალიბეგაშვილი ზურაბი	9874	0,92715
3	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ამაშუკელი გიორგი	85198	7,999962
4	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	კახიძე დარეჯან	53701	5,04244
5	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	მერაბაშვილი ბაკური	36178	3,39706
6	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ოდიშელიძე როინი	79914	7,50380
7	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ორჟონიკიძე ოთარი	139623	13,110387

8	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ორჯონიკიძე თენგიზი	219683	20.627899
9	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ორჯონიკიძე გიორგი	203313	19.090781
10	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	ხვედელიძე ივანე	181047	17.000038
11	ჩვეულებრივი სახელობითი აქციები	სხვა 78 - ფიზ. პირები რომლებიც ფლობენ 0,5% ნაკლებ აქციებს	13673	1,2839
-	ჯამი:	-	1064980	100

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. წარმოებულ პროდუქციას აწვდის როგორც ადგილობრივ მყიდველებს ისე, არარეზიდენტებს სომხეთში, აზერბაიჯანში, ისრაელში, უკრაინაში.

II. finansuri angariSgebis momzadebis safuZveli

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

III.arsebiTi saaRricxvo politika

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე სალარე და სავალუტო ანგარიშებისაგან.

ამონაგების აღიარება

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი უშუალოდ დაკავშირებულია განსაკუთრებულ აქტივების შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან. ამ ოპერაციებისათვის მიღებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ემატება აღნიშნული ქონების თვითღირებულებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება დასაბეგრი მოგებიდან წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების თანხისგან - მიმდინარე მოგების გადასახადი. მისი სისდიდე შეადგენს წლის დასაბეგრი მოგებიდან 15%-ს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების

ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3-5%	
მანქანა-დანადგარები	14-20%	
საოფისე აღჭურვილობა	14-20%	
ავეჯი და მოწყობილობები	14-20%	
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%	სხვა ძირითადი
საშუალებები	10-20%	

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე. ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

ჩვეულებრივი იჯარა

საწარმო როგორც მოიჯარე

აქტივის იჯარა, რომელთა მიმართებაშიც მფლობელობის რისკები და სარგებელი მეიჯარეს ეკუთვნის, კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ობიექტთან დაკავშირებული საიჯარო გადასახდელები აღიარებულია როგორც ხარჯი წრფივი მეთოდით და შესულია გაყიდვების თვითღირებულებაში.

საწარმო როგორც მეიჯარე

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარის აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითადი საშუალების შესაბამის კლასში. ჩვეულებრივი იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დანახარჯები, ცვეთის ჩათვლით, აღიარდება ხარჯის სახით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადა-მუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული, და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არარის.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

აქციონერებზე განაწილებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების თარიღისათვის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ კვლავ შეძლოს მესაკუთრეებისათვის მოგების მიცემა.